1459
18.06.98

9

19/კოლ-2087/60-1-ზე 4 ივნისი 1998წ.

საქართველოს პარლამენტის
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი
რესურსების კომიტეტის თავ-რეს
ბ-ნ გ. გიგინეიშვილს

ინგლისურ-ქართული კულტურისა და საქმიანი ურთიერთობების საერთაშორისო ცენტრის რეზიდენციის პროექტთან დაკავშირებით, ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე, უნდა მოგახსენოთ შემდეგი-1996 წელს ხსენებული ცენტრის განცხადების საფუძველზე ჩვენთან დამუშავდა მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილების პროექტი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 11.09.96 წ. №11.15.702 დადგენილებით კულტურისა და საქმიანი ურთიერთობის საერთაშორისო ცენტრს "გამარჯვების პარკი"-ს ტერიტორიიდან რეზიდენციის ასაშენებლად გამოეყო პარკის ამორტიზირებული სამეურნეო ნაგებობით დაკავებული და ნარგავებისგან თავისუფალი მიწის ნაკვეთი, დარიალის ქუჩის მესახვევთან.

ამ დადგენილების საფუძველზე 1996 წლის სექტემბერში ჩვენს დეპარტამენტში დამზადდა ხსენებული ობიექტის სამშენებლო პასპორტი წითელი ხაზებითა და არქიტექტურულ-საპროექტო დავალებით.

იმავე წლის 23 დეკემბერს განსახილველად და შესათანხმებლად დეპარტამენტში წარმოდგენილი იქნა, ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტსა და მუნიციპალურ საწარმო "თბილგამწვანებასთან " შეთანხმებული, რეზიდენციის პროექტი (ავტორი თ. ღვანიძე).

1997 წლის 8 იანვარს პროექტი განხილული იქნა ქალაქმშენებლობის

საბჭოზე (ექსპერტი ვ. ბახტაძე) და დაუბრუნდა დამკვეთს გადასამუშავებლად, საბჭოს შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით.

1997 წლის 17 ოქტომბერს შპს "გ. და ა."-ს მიერ დეპარტამენტში წარმოდგენილ იქნა შესათანხმებლად ხსენებული ობიექტის გადამუშავებული პროექტი (ავტორი ჯ. ორჩილდი), რომელიც შეუთანხმდა მთავარი არქიტექტორის 8.12.97წ. № 498 ბრძანებით.

მიმდინარე წლის 29.IV. შპს"არსი"-ს მიერ წარმოდგენილი იქნა რეზიდენციის, პროექტის ავტორის ჯ. ორჩილდის თანხმობით, კორექტირებული არქიტექტურული ნაწილი (კორექტირების ავტორი ნ. ქვარცხავა). მთავარი არქიტექტორის 8.V.197 ბრძანებით კორექტირებული პროექტი შეთანხმებული იქნა. 5.V.98-ში ობიექტის კონსტრუქციულ ნახაზებს ჩაუტარდა ექსპერტიზა. ამის შემდეგ 12.V.98-ში გაიცა №124 ნებართვა მშენებლობის დაწყებაზე.

დეპარტამენტის თავ-რე
ქალაქის მთ. არქიტექტორი — დ. აბელდიანი

შემს: ბ. ჩიგოგიძე-95-00-77